



# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 31-31221792  
თარიღი: 28/06/2022

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომის ოქმი №9

ლანჩხუთი

24.06.2022 წელი

14.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე – **მაკა მშვიდლობაძე**.

**სხდომას ესწრებოდნენ:** ჯუმბერ ბლაგიძე, გოჩა ჯანაშია.

**მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალექო კირვალიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ომარ ჯანაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდლობაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და ფრაქციის წევრებთან თხოვა ფრაქციის წევრს ჯუმბერ ბლაგიძეს მან სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

### დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.  
/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/
2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.  
/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/
3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზანშეწონილობის შესახებ.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

12. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

13. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

14. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

15 დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხზე: საკითხი ეხება ფრაქციის წევრის ჯუმბერ ბლაგიძის მიერ დაყენებულ საკითხს რომელიც ეხება საქრთველოს დეპოლარიზაციის საკითხს რომელიც არის ერთერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა კარლ ჰარცერის მიერ გამოგზავნილ წინადადებებში.

16 სხვადასხვა საკითხები

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.**

**მომხრე - 3 წევრი. წინააღმდეგი არცერთი**

**1. დღის წესრიგის პირველ საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო როლანდ ლაშხიამ** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419

განკარგულებაში, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 27 აპრილის N754 განკარგულებით შესული ცვლილებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირების მიზნით (ტენდერის შედეგად) პროექტის ღირებულება შემცირდა 195627 ლარით და განისაზღვრა 1198888 ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით 1186899 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 11989 ლარი. შემცირდა ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში კოლხეთის ეროვნულ პარკთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ელექტროფიცირების პროექტი 167388 ლარით და განისაზღვრა 1488982 ლარით; მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით 1474092 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტი 14890 ლარით. ასევე აღნიშნა, რომ სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებისათვის (გადმოსახედი, ზიპლაინის, საფეხმავლო და ველოსპორტის ბილიკების, გამოქვაბულის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა) გამოიყო 1797277 ლარი. მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტით 1779304 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 17973 ლარი.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში, საქართველოს მთავრობის 6 მაისის N787 განკარგულებით შესული ცვლილებით ქ. ლანჩხუთში დუმბაძის, წმ. ნინოს, წულაძის, გოგიჩაიშვილის, მარჯანიშვილის, გვარჯალაძის, კუპრეიშვილის შესახვევის და ჭავჭავაძის ქუჩების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხა (ტენდერის შედეგების გათვალისწინებით) შემცირდა 91250 ლარით და განისაზღვრა 2499995 ლარით. მათ შორის, სახელმწიფო ფონდით 2374994 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 125001 ლარი. ქალაქ ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლის სახურავს რეაბილიტაციაზე გამოიყო 145777 ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტით 138488 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 7289 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაციაზე დამატებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებით მიიმართება 18000 ლარი, სულ პროექტის ღირებულება განისაზღვრა 163777 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N131 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 6 მაისის N786 განკარგულებით შესული ცვლილებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოიყო 500000 ლარი და მიიმართება დანართი N1 შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულების საფუძველზე საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა გამოყოფილი ლიმიტის გათვალისწინებით დაფინანსება გაიზარდოს 242798,12 ლარით, საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე მიიმართოს 195254 ლარი; მათ შორის (საქართველოს მთავრობის N13, N27, N147 განკარგულებით) ნაშთის ხარჯზე 162734,15 ლარით და N51 განკარგულებით გამოყოფილი 32519,85 ლარი. (ხაჯალიის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია და ნიგიოთის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია)

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წინადადების განხილვის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლზე ორი ერთეული სათვალთვალ კოშკურის მოსაწყობად გამოიყოს 75408 ლარი. ასევე აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდის რეაბილიტაციისათვის გამოიყო 17000 ლარი. აღნიშნული ხარჯების დაფინანსება განხორციელდეს კაპიტალური გრანტით (საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით) 92408 ლარის ფარგლებში.

მან ასევე აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ანალიზის შედეგების გათვალისწინებით მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური უზრუნველყოფის მუხლის დაფინანსება გაიზარდოს 11500 ლარით. მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯი გაიზარდოს 8500 ლარით. სუბსიდიის მუხლის 5000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 5000 ლარით. ქალაქის შემოსასვლელის კეთილმოწყობისათვის გამოიყო 22000 ლარით.

განათლების ღონისძიების ხელშეწყობისათვის მიზანშეწონილია დამტკიცებული ასიგნების

ფარგლებში საქონელი და მომსახურების 1040 ლარით და სხვა ხარჯების მუხლის 7208 ლარის შემცირების ხარჯზე უნდა გაიზარდოს სუფსიდიის მუხლი 8248 ლარით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის წინადადების განხილვის შედეგად მიზანშეწონილია დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში საქონელი და მომსახურების მუხლის 65000 ლარით შემცირების ხარჯზე 65000 ლარით გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების საქონელი და მომსახურების მუხლის 10000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 10000 ლარით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლის 9000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 9000 ლარით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების სამსახურის (ორგ.კოდი 02 07) მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება ტრანსპორტის ხარჯი გაეზარდოს 4000 ლარით. წყლის სისტემის ექსპლოატაციის (ორგ.კოდი 02 02 02) შრომის ანაზღაურების მუხლი გაეზარდოს 12000 ლარით და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 20000 ლარით. დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა (ორგ.კოდი 03 01) შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება გაიზარდოს 72500 ლარით. გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის (ორგ. კოდი 02 03 01 01) შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება გაიზარდოს 11500 ლარით. მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და განვითარება (ორგ.კოდი 03 02) შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება გაიზარდოს 10000 ლარით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის წერილის საფუძველზე მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების (ორგ.კოდი 02 07) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 14080 ლარით და გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 14080 ლარით. დასუფთავება და ნარჩენების გატანის (ორგ.კოდი 03 01) შრომის ანაზღაურების მუხლის 100000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 94000 ლარით, არაფინანსური აქტივები 6000 ლარით. სასაფლაოს მოვლა პატრონობის ხარჯი (ორგ.კოდი 02 06 05) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 18800 ლარით და შტატგარეშე მოსამსახურეთა მუხლი 43614 ლარით. გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის (ორგ.კოდი 02 03 01 01) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 12040 ლარით და გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 12040 ლარით. მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა განვითარების (ორგ.კოდი 03 02) შრომის ანაზღაურების მუხლის 12000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლის 74414 ლარით. წყლის სისტემის ექსპლოატაციის (ორგ.კოდი 02 02 02) საქონელი და მომსახურების მუხლის 3000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 3000 ლარით. შპს ქალთა სპორტის განვითარების სუბსიდირების მუხლი უნდა გაიზარდოს 25000 ლარით. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამა უნდა გაიზარდოს 10000 ლარით. ბავშვთა ადრეული განვითარების, ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვე/ პროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანხმლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა გაიზარდოს 10000 ლარით.

ზემოთ აღნიშნული ხარჯების დაფინანსება განხორციელდება თავისუფალი ნაშთის 154070 ლარის ოდენობით და შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლის გეგმის 98000 ლარით ზრდის

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**მომხრე 0. თავი შეიკავა 2. (ჯუმბერ ბლაგიძე, მაკა მშვიდლობაძე)**

**2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. კომისიას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის

მოვალეობის შემსრულებელმა ალექო კირვალიძემ მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად,

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები დანართის შესაბამისად.

2022 წელს რეგიონული განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა. **დასახელება; საგარაუდო ღირებულება.**

**1.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების ასფალტობეტონის საფარით მოწყობა- სოფ. შუხუთიდან სოფ. გაგურის ცენტრამდე; **4916742**

**2.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების ასფალტობეტონის საფარით მოწყობა- სოფ. გაგურის ცენტრიდან სოფ. ნაგომარის ხიდამდე; **2430645**

**3.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების ასფალტობეტონის საფარით მოწყობა- სოფ. გაგურის ცენტრიდან სოფ. ზომლეთის საზღვრამდე; **1998899**

**ჯამი: 9346286**

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**მომხრე 2. (ჯუმბერ ბლაგიძე, მაკა მშვიდლობაძე)**

**3. დღის წესრიგის მესამე საკითხზე -** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა თამარ ფირცხალაიშვილმა მან განმარტა, რომ მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ განხილულ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ ინიციატივა ონკოდაავადებულების PET/KT

(პოზიტრონ ემისიური ტომოგრაფიის) კვლევის თანადაფინანსებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული კვლევის ღირებულება ძალიან მაღალია დაახლოებით 2500 ლარიდან 3000 ლარამდე მერყეობს. ასევე შეინიშნება ონკოდაავადებულების მზარდი ტენდენცია, რომლებიც საჭიროებენ ზემოაღნიშნული მაღალტექნოლოგიური კვლევების ჩატარებას. აღნიშნული კვლევა არ ფინანსდება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში და ჩვენი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მისი სრულად გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნია. ონკოლოგიური პაციენტებისაგან ზემოაღნიშნული კვლევის დაფინანსებასთან დაკავშირებით არის მომართვიანობა. კვლევის დაფინანსების მიზანია ონკოდაავადებულების სრული დიაგნოსტიკა და მკურნალობის სწორი ტაქტიკის შერჩევა. სამკურნალო-საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით გათვალისწინებულია მაგნიტო- რეზონანსულ ტომოგრაფიის, კომპიუტერულ ტომოგრაფიების და ანგიოგრაფიულ კვლევების სახელმწიფო პროგრამებით დაუფინანსებელი ნაწილის 50% თანადაფინანსება. თუმცა ინიცირებული ზემოაღნიშნული კვლევის დაფინანსება არ არის გათვალისწინებული მისი მაღალი ღირებულებიდან გამომდინარე. მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოიძებნოს ფინანსური რესურსი 10 000 ლარის ოდენობით და სამკურნალო-საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამას დაემატოს პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის ( PET/KT) კვლევის თანადაფინანსება ღირებულების 20 %-ით. კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. ხოლო სასწრაფო გადაუდებელი პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის ( PET/KT) შემთხვევაში კვლევის უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) -რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე) აღნიშნული ფინანსური რესურსით შესაძლებელი იქნება დაახლოებით 17 ბენეფიციარის კვლევის დაფინანსება.

**სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**მომხრე 2.( ჯუმბერ ბლაგიძე მაკა მშვიდლობაძე) წინააღმდეგი 0**

**4. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე - „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ფრაქციის სხდომას გააცნო ომარ ჯანაძემ.** მან აღნიშნა, რომ ცვლილება ეხება ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შპს „ფეხბურთის კლუბი ლანჩუთის გურია“-ს (ს/ნ 433651461) არამატერიალური ქონებრივი აქტივის (შპს „ფეხბურთის კლუბი ლანჩუთის გურია“-ს 100%-იანი წილი) და ასევე უძრავი ქონების ნუსხა და გეგმაში ქ. ლანჩუთში ჟორდანია ქუჩა N 74-ში მდებარე საცხოვრებელი ფართის (ს/კ 27.06.52.055.01.015) და აცანის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ აცანაში მდებარე 1336 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 და N2 შენობების (ს/კ 27.02.44.223) დამატებით.

**სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**მომხრე 2. .( ჯუმბერ ბლაგიძე მაკა მშვიდლობაძე) წინააღმდეგი 0**

**5. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე - „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ.** მან აღნიშნა, რომ ეს დებულება, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, განსაზღვრავს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომ - მერია) სტრუქტურას, მერიის თანამდებობის პირების და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებებს და მუშაობის ორგანიზაციას.

**სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**მომხრე 0. თავი შეიკავა 2. (ჯუმბერ ბლაგიძე, მაკა მშვიდლობაძე)**

**6. დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ.** მან აღნიშნა, რომ მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომლის უფლებამოსილებები, ვალდებულებები, სტრუქტურა და მართვის ორგანიზება განისაზღვრება დებულებით.

**სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

## **მომხრე 0. თავი შეიკავა 2. (ჯუმბერ ბლაგიძე, მაკა მშვიდლობაძე)**

**7. დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააყენო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში არ შეცვლილა განყოფილების რაოდენობა, თუმცა მოხდა სახელწოდებაში ცვლილების შეტანა.

**სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

## **მომხრე 0. თავი შეიკავა 2. (ჯუმბერ ბლაგიძე, მაკა მშვიდლობაძე)**

**8. დღის წესრიგის მერვე საკითხზე:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააყენო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ მერიის ზედამხედველობის სამსახურის სტრუქტურაში შევიდა გარკვეული ცვლილება - შეიქმნა ახალი განყოფილება- „მუნიციპალური ინსპექტირების განყოფილება“. ასევე, დაემატა ფუნქცია-მოვალეობები იმასთან დაკავშირებით, თუ რის საფუძველზე უნდა შედგეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

**სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

## **მომხრე 0. თავი შეიკავა 2. (ჯუმბერ ბლაგიძე, მაკა მშვიდლობაძე)**

**9. დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააყენო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მისი განმარტებით, აღნიშნულ სამსახურს დაემატა ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილება. შესაბამისად, დებულებაში გაიწერა მისი ფუნქცია- მოვალეობები.

**სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

## **მომხრე 0. თავი შეიკავა 2. (ჯუმბერ ბლაგიძე, მაკა მშვიდლობაძე)**

**10. დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააყენო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მისი განმარტებით, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს დაემატა შესყიდვების განყოფილება.

**სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

## **მომხრე 0. თავი შეიკავა 2. (ჯუმბერ ბლაგიძე, მაკა მშვიდლობაძე)**

**11. დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააყენო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ მოხდა მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციების დაზუსტება - კორექტირება. აღნიშნული სამსახური არის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფას, ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდას. იგი ფუნქციურად დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, ანგარიშვალდებულია მერის წინაშე და „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მოქმედებს შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ საბჭოსთან (შემდგომში - კარმონიზაციის ცენტრი) კოორდინირებულად. სამსახური თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან. მოთხოვნის შემთხვევაში, აწვდის მას შესაბამის ინფორმაციას ან/და დოკუმენტაციას და მასთან ურთიერთობას წარმოთავს შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.



**სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**მომხრე 0. თავი შეიკავა 2. (ჯუმბერ ბლაგიძე, მაკა მშვიდლობაძე)**

**12. დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ სამსახური ახორციელებს დელეგირებულ უფლებამოსილებას. წარმოდგენილი დებულება სრულად პასუხობს აღნიშნული ფუნქციების განხორციელებას.

**სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**მომხრე 0. თავი შეიკავა 2. (ჯუმბერ ბლაგიძე, მაკა მშვიდლობაძე)**

**13. დღის წესრიგის მეცამეტე საკითხზე :** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ ხდება სამსახურის ფუნქციების დაზუსტება-დაკორექტირება. ასევე, ემატება ერთი განყოფილება - „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“.

**სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**მომხრე 0. თავი შეიკავა 2. (ჯუმბერ ბლაგიძე, მაკა მშვიდლობაძე)**

**14. დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ სამსახურის ფუნქციების ძირითადი მიმართულებებია ქონების მართვა და სოფლის მეურნეობა, რომელთა გათვალისწინებითაც მოხდა შესაბამისი დებულების გაწერა.

**სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**მომხრე 0. თავი შეიკავა 2. (ჯუმბერ ბლაგიძე, მაკა მშვიდლობაძე)**

**15 დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხზე:** საკითხი ეხება ფრაქციის წევრის ჯუმბერ ბლაგიძის მიერ დაყენებულ საკითხს რომელიც ეხება საქრთველოს დეპოლარიზაციის საკითხს რომელიც არის ერთერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა კარლ ჰარცერის მიერ გამოგზავნილ წინადადებებში.

**სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა დამატებულ საკითხს**

**მომხრე 2. (ჯუმბერ ბლაგიძე, მაკა მშვიდლობაძე)**

**16: სხვადასხვა საკითხები:** ფრაქციამ მოითხოვა პასუხის გაცემა მერიის მხრიდან წინა სხდომაზე დაყენებული ინიციატივებითვის, ასევე მოხდეს მერის მხრიდან გუბერნიისთვის მიმართვა რათა სტიქიის შედეგად დაზარალებულთა რიცხვს დაემაროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

**ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

მაკა მშვიდლობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“-საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე